



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N71

2014 წელის 3 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციასა და მათ წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებით დამფუძნებლად დაფიქსირებულია და სადამფუძნებლო უფლებამოსილებები მინიჭებული აქვს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რაც წინააღმდეგობაშია ამჟამად მოქმედ კანონმდებლობასთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ, სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი საკრებულოს თანხმობით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების წესდებების კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ (ს/კ429320745) წესდებაში. საკრებულო თანახმაა:

- ა) წესდების პირველი მუხლის მეორე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სასპორტო გაერთიანების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.4 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მეორე მუხლის 2.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სასპორტო გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგობის თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებით;“

დ) წესდების მე-5-ე მუხლის 5.3 პუნქტის 5.3.1 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გაერთიანების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;“

ე) ამოღებულ იქნეს წესდების მე-11-ე მუხლის 11.2 პუნქტი;

2. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრი“ (ს/კ 429319533) წესდებაში. საკრებულო თანახმაა:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-2-ე მუხლის 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის სრული სახელწოდებაა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრი;“

დ) წესდების მე-4-ე მუხლის 4.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის მართვას ახორციელებს დამფუძნებელი ცენტრის გენერალური დირექტორის მეშვეობით;“

ე) წესდების მე-4-ე მუხლის 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის გენერალურ დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. გენერალური დირექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:“

ვ) წესდების მე-5-ე მუხლის 5.4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფილიალის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც დამფუძნებელთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი;“

ზ) ამოღებულ იქნეს წესდების მე-11-ე მუხლის 11.3 პუნქტი;

თ) წესდების მე-12-ე მუხლის 12.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცენტრის წესდების შეცვლას, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ახორციელებს დამფუძნებელი;“

3. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ (ს/კ229325389) წესდებაში. საკრებულო თანახმაა:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სასადილოს დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-9-ე მუხლის 9.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სასადილოს საქმიანობას აკონტროლებს დამფუძნებელი;“

დ) ამოღებულ იქნეს წესდების მე-10-ე მუხლის 10.2 პუნქტი;

ე) წესდების მე-11-ე მუხლის 11.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სასადილოს წესდების დამტკიცება, მასში ცვლილების და დამატებების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“;

4. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ (ს/კ229325101) წესდებაში. კერძოდ, საკრებულო თანახმაა:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცენტრის დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.4 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-5-ე მუხლის 5.3 პუნქტის 5.3.1 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცენტრის გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი;“

დ) წესდების მე-5-ე მუხლის 5.3 პუნქტის 5.3.5 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლამდელი დაწესებულების სამტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს;“

ე) ამოღებულ იქნეს წესდების მე-11-ე მუხლის 11.2 პუნქტი;

5. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დუშეთის მუნიციპალური ცენტრის“ (ს/კ229326280) წესდებაში. კერძოდ, საკრებულო თანახმაა:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცენტრის დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის

თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-9-ე მუხლის 9.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცენტრის საქმიანობას აკონტროლებს დამფუძნებელი;“

დ) წესდების მე-9-ე მუხლის 9.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებელი იწვევს აუდიტორს ან ავალებს ცენტრის საქმიანობის კონტროლს გამგეობის სამსახურს;

ე) ამოღებულ იქნეს წესდების მე-10-ე მუხლის 10.2 პუნქტი;

6. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ა(ა)იპ “დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ (ს/კ429320790) წესდებაში. საკრებულო თანახმაა:

ა) წესდების მე-6-ე მუხლის 6.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამსახურის დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების მე-6-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.3 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-9-ე მუხლის 9.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამსახურის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.“

დ) წესდების მე-14-ე მუხლის 14.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამსახურის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი;“

ე) ამოღებულ იქნეს წესდების მე-15-ე მუხლის 15.2 პუნქტი;

8. განკარგულება გასაცნობად გადაეცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი